თბილისში დამთავრდა სოციალისტური ქვეყნების დინამოელი მოცურავეებისა და წყალბურთელების საერთაშორისო ტურნირი. როგორც წყალბურთში, ისე ცურვაში გამარჯვება მასპინძლებს ხვდათ. წყალბურთში II ადგილზე უნგრელები გავიდნენ, ხოლო III — რუმინელები. ცურვაში II ადგილი დაიკავეს გდრ-ის სპორტსმენებმა, ხოლო III — უნგრელებმა.

მოცურავეთა ტურნირის ბოლო დღეს კვლავ ისახელა თავი თბილისელმა ა. იოაკიმიდიმ. ამჯერად მან 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში სცადა ძალა და I ადგილიც დაისაკუთრა, თან, საქართველოს ახალი რეკორდი დაამყარა — 4.58,7. იოაკიმიდის 0,7 წამი დააკლდა საერთაშორისო სპორტის ოსტატის ნორმის შესრულებამდე.

შეჯიბრების დასკვნითი ტურის ანგარიში იხ. შემდეგ ნომერში.

**სურათებზე:** მარჯვნივ — II ადგილისთვის რუმინეთისა და უნგრეთის გუნდების ბრძოლის მომენტი (გაიმარჯვეს უნგრელებმა — 5:4); ზევით — ა. იოაკიმიდი ასპარეზობისას.

ფოტო ო. გელაშვილისა.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 191 (3421) 30

1967 წ. სექტემბერი. შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

თბილისი 1967
IX-დინამო

### საქართველოს სპორტკავშირში

## მორიგი ოლიმპიური ლატარია

ჩვენს ქვეყანაში მასობრივ-ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის დონის შემდგომი ამაღლების, მეხიკოს ოლიმპიური თამაშებისთვის ნაკრები გუნდების უკეთ მომზადების უზრუნველსაყოფად, სსრ კავშირის სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალურმა საბჭომ გადაწყვიტა ჩაატაროს ფულისა და ნივთების მორიგი ოლიმპიური სპორტული ლატარია.

საქართველოს სპორტკავშირის პრეზიდიუმმა ჩვენს რესპუბლიკაში ამ ღონისძიების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით შექმნა საგანგებო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ ვ. ბალავაძე, ნ. სომხიშვილი, დ. ჰოხონელიძე, ა. მხეიძე, ვ. ულენტი, გ. რცხილაძე, ნ. პაშიკოვი, ბ. პაიჭაძე, რ. იმნაძე, ჯ. გუბაზი, შ. მჟავანაძე, ა. თედეევი, ლ. აბელდიანი, ო. კომინსკი, ო. ჯებაშვილი.

რაიონული, საქალაქო, საოლქო სპორტკავშირებისა და ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების საბჭოებს დაევალათ უზრუნველყონ ოლიმპიური სპორტული ლატარიის წარმატებით ჩატარება, ფართოდ გააცნონ მოსახლეობას ლატარიის პირობები და განუმარტონ მას, რომ შემოსავალი მოხმარდება სასწავლებლებისა და სპორტული ნაგებობების მშენებლობას, აგრეთვე, 1968 წლის XIX ოლიმპიადისთვის მზადებას.

## კარგი სტარტი

**ტამპერე,** 28 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ფინეთის დედაქალაქში და აქ ერთდროულად აიღო სტარტი ევროპის კალათბურთელ ვაჟთა XV ჩემპიონატმა. მასპინძლები კარგად მოემზადნენ ამ საინტერესო შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩასატარებლად და მის მონაწილეებს თამაშის, წვრთნისა და დასვენების საუცხოო პირობები შეუქმნეს.

სსრ კავშირის ნაკრები ტამპერეში ასპარეზობს. ამ ჯგუფის პირველ მატჩში ჩვენებმა საკმაოდ იოლად დაამარცხეს ისრაელის ნაკრები — 93:65. ისრაელელებმა საბჭოთა კალათბურთელებს მხოლოდ პირველ ტაიმში გაუწიეს ერთგვარი წინააღმდეგობა — დასასვენებლად ჩვენები 9-ქულიანი (37:28) აქტივით წავიდნენ.

ბულგარელებმა საინტერესო ბრძოლაში დაამარცხეს უნგრელები — 66:58.

ჰელსინკში გამართული შეხვედრები ასე დამთავრდა: რუმინეთი — ესპანეთი 84:85, იუგოსლავია — ბელგია 73:66.

ნ. გუგუშვილი,
ჯ. ენუქიძე.

## ბედნიერი ექვსეული

**ტაშკენტი,** 28 სექტემბერი. უძლიერეს ხელბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ტაშკენტის ტურში დამთავრებული შეხვედრების შემდეგ 6 გუნდი განაგრძობს ბრძოლას ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისთვის. ესენი არიან „ჟალგირისი" (კაუნასი), „სპარტაკი" (ბაქო) — 18-18 ქულა, „სპარტაკი" (კიევი) — 17, „კალინინეცი" (სვერდლოვსკი) — 15, „ბურევესტნიკი" (ჩერკასკი) — 14. ამ ხუთეულს თავში მოექცა მოსკოვის „ლუჩი", რომელმაც ყველა წინასწარი შეხვედრა მოიგო და 20 ქულით ლიდერობს გათამაშებას.

მართალია, ექვსმა ბედნიერმა გუნდმა კაუნასის დასკვნითი ტურნირის საგზური მიიღო, მაგრამ არც მომდევნო 4 გუნდი დარჩა მაინცდამაინც განაწყენებული — ისინი კვლავ „ა" კლასის კოლექტივების შეჯიბრებაში გამოვლენ. ორმა გუნდმა კი დატოვა უმაღლესი ლიგა. ესენი არიან მინსკისა და კრასნოიარსკის „ბურევესტნიკის" კოლექტივები.

## შტადლერმა წააგო

**სუბოტიცა,** 29 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). პრეტენდენტთა ტურნირის XIV ტურში დიდი ინტერესი გამოიწვია შტადლერ (იუგოსლავია) — კუშნირის შეხვედრამ. ბრძოლა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა. ბოლოს, როცა თამაშის დრო ამოიწურა, პოზიცია თანაბარი აღმოჩნდა. პარტია გადაიდო.

ზატულოვსკაიამ მოუგო კონარკოვსკას (იუგოსლავია), მარკოვიჩმა (იუგოსლავია) — პერევოზნიკს (რუმინეთი), ნედელკოვიჩმა (იუგოსლავია) — მაკგრატს (ავსტრალია), ნიკოლაუმ (რუმინეთი) — კისლოვას.

ყაიმზე შეთანხმდნენ არონსონი (აშშ) — ალექსანდრია და ჰეემსკერკ (ჰოლანდია) — ნოვარა (გდრ). გადაიდო ფრიდმან (ისრაელი) — კოზლოვსკაიასა და ასენოვა (ბულგარეთი) — გრესერის (აშშ) პარტიები.

XV ტურში შტადლერმა პირველი დამარცხება იწვნია. მას დიდი ძალით ეპაექრა ზატულოვსკაია.

ამ დღეს გამარჯვებით იასპარეზეს, აგრეთვე, კუშნირმა — არონსონთან, კისლოვამ — ფრიდმანთან და კოზლოვსკაიამ — ჰეემსკერკთან. საბჭოთა მოჭადრაკეთაგან მხოლოდ ალექსანდრიას არ გაუმართლა — იგი დამარცხდა ნიკოლაუსთან.

მარკოვიჩმა „შური იძია" გრესერზე, რომელმაც მას პრეტენდენტთა 1964 წლის ტურნირში გადამწყვეტი პარტია მოუგო. ყაიმით დასრულდა ნოვარა — ნედელკოვიჩისა და პერევოზნიკ — კონარკოვსკას შეხვედრები. გადაიდო მაკგრატ — ასენოვას პარტია.

15 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: ტ. შტადლერი — 11 (2), ა. კუშნირი—10,5 (1), ტ. ზატულოვსკაია — 10 (1), ვ. კოზლოვსკაია — 9,5 (2), ა. კისლოვა — 9,5 (1), ა. ნიკოლაუ — 9,5, ვ. ნედელკოვიჩი — 8 (2), მ. მარკოვიჩი — 8 (1), ნ. ალექსანდრია — 8.

### საათი

◆ **კლუჟი,** 29 სექტემბერი. რუმინეთის ამ ქალაქში მიმდინარე ფრენბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირში მხოლოდ სსრ კავშირის ნაკრები ასპარეზობს წაუგებლად. ფინალურ შეჯიბრებაში საბჭოთა გუნდმა დაამარცხა მასპინძლები — 3:0 (17:15, 15:13, 15:13). პოლონელებმა მოუგეს იაპონელებს — 3:1 (15:10, 15:7, 6:15, 15:7). საბჭოთა ნაკრები, რომელსაც 4 ქულა აქვს, ბოლო მატჩში იაპონელებს შეხვდება. ლიდერს 2 ქულით ჩამორჩება პოლონეთის გუნდი.

◆ **სტოკჰოლმი,** 29 სექტემბერი. წიდიან ბილიკზე აქ გამართულ მოტორბოლაში შვეციის გუნდმა, რომელსაც სათავეში ედგა მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ბ. იანსონი, დაამარცხა სსრ კავშირის ნაკრები — 48:42.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

„ა" კლასი
IV ზონა

**27 სექტემბერს** გაიმართა მორიგი ტურის მატჩები. აი, შედეგებიც: „დილა" (გორი) — „სევანი" (ოქტემბერიანი) 3:2, „უროჟაი" (დერბენტი) — „გურია" (ლანჩხუთი) 1:0, „უროჟაი" (მაიკოპი) — „მეტალურგი" (რუსთავი) 2:0, „სპარტაკი" (კისლოვოდსკი) — „ალაზანი" (გურჯაანი) 3:0, „კოლხეთი" (ფოთი) — „უროჟაი" (კრიმსკი) 0:1, „მუქურა" (ქობულეთი) — „მაშინოსტროიტელი" (პიატიგორსკი) 2:0.

### ლიდერის მარცხი

**ტყიბული,** 29 სექტემბერი. ადგილობრივმა „მეშახტემ" მიილო გათამაშების ლიდერი — კრასნოდარის „კუბანი" და დაამარცხა იგი — 1:0.

„ა" კლასი
I ჯგუფი

**გუშინ** მოსკოვში ადგილობრივმა „ლოკომოტივმა" ანგარიშით 3:1 (1:0) დაამარცხა „ზარია". გოლების ავტორები არიან: მოსკოველები კოროტკოვი (2) და კოზი, ლუგანსკელი — სერგეევი.

## „მშრალი" ანგარიშით

ბათუმი. „დინამოს" სტადიონი. 29 სექტემბერი.

„დინამო" (ბათუმი) — „დინამო" (სტავროპოლი) 0:2 (0:0).

**ბათუმი:** კვახაძე, გიორგიადი, სირბილაძე, ონიანი, პაშკურიძე, ილურიძე, ქორიძე, ოვანესიანი, საფაროვი (რამიშვილი), ქიქავა, რ. გაგუა.

**სტავროპოლი:** მოზგინი, ვერგოპულო, სტეპანეცი, მაქსიმოვი, ჩერნენკო, ჟურავლიოვი, მოისეევი, გარბუზი, ბელოვი, არუთიუნოვი, ჟუკოვსკი.

მსაჯი გ. ხაჩიკიანი (როსტოვი).

დუბლიორები — 2:1 სტავროპოლელთა სასარგებლოდ.

მატჩი ორმხრივი იერიშებით დაიწყო. მე-6 წუთზე ჟურავლიოვს შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ ბურთი სულ ცოტათი აცდა კარს. მე-15 წუთზე საფაროვმა და გაგუამ ლამაზი კომბინაცია გაითამაშეს, მაგრამ ქიქავამ დააგვიანა საბოლოო დარტყმა. 27-ე წუთზე კვახაძემ აკრობატულ ნახტომში იხსნა კარი ნაღდი გოლისგან ბელოვის დარტყმის შემდეგ.

შესვენების შემდეგ უპირატესობა სტუმრების მხარეზე იყო. ისინი სულ უფრო სახიფათოდ უტევდნენ ბათუმელთა კარს. 57-ე წუთზე ბელოვი მოედნის ცენტრში დაეუფლა ბურთს, სწრაფად, გაიჭრა წინ, გვერდი აუარა სირბილაძეს და ლამაზი დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0. 5 წუთის შემდეგ მანვე ოსტატურად ჩამოიტოვა უკან ბათუმელი მცველები და მეორე ბურთი გაიტანა.

ო. მურვანიძე.
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

„ა" კლასი
II ჯგუფი

# ყოჩაღ, კაცაძე!

**ერევანი, 29 სექტემბერი** (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ოლიმპიური გუნდების აქ მიმდინარე მატჩში წარმატებით იასპარეზა ახალგაზრდა თბილისელმა ველოსიპედისტმა შ. კაცაძემ (ასკ). 1 კილომეტრზე ადგილიდან გიტში მან აჩვენა საერთაშორისო კლასის ოსტატის შედეგი — 1.09,7. საინტერესოა, რომ მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ო. ფხაკაძემ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადაში იგივე დისტანცია მხოლოდ 0,1 წამით უფრო სწრაფად გაიარა, რამაც მას ვერცხლის მედალი მოუტანა.

500 მეტრზე გიტში რეკორდების ცხრილში ორი შესწორება შეიტანა ხარკოველმა ველოსიპედისტმა ქალმა ი. კირიჩენკომ. ადგილიდან რბოლაში მისი შედეგი — 36,7 — საკავშირო რეკორდია, ხოლო ამავე დისტანციაზე სვლით რბოლაში 32,5 — მსოფლიო რეკორდი (იგი 12 წლის განმავლობაში ეკუთვნოდა ტულელ ლ. რაზუვაევას).

ოდესის 32-ე სკოლის მეათეკლასელებს შეუძლიათ მიულოცონ თანაკლასელ ვ. სემენეცს („დინამო"): 17 წლის მრბოლელმა 1000 მეტრზე ადგილიდან გიტში დაამყარა ჭაბუკთა ახალი საკავშირო რეკორდი — 1.09,0. ასეთ ასაკში მსგავსი შედეგი მსოფლიოში ჯერ არავის უჩვენებია.

ამ მატჩში ჭაბუკთა კიდევ ორი საკავშირო რეკორდი დამყარდა: ტულელმა ა. კონდრატიევმა 1000 მეტრზე სვლით აჩვენა 1.05,8, ხოლო ხარკოველმა დინამოელმა ს. კრავცოვმა — 500 მეტრზე სვლით — 30,1.

მატჩის პირველ დღეს 1000 მეტრზე ადგილიდან გიტში საერთაშორისო სპორტის ოსტატის ნორმატივი კაცაძის გარდა შეასრულეს: ახალგაზრდა ტულელებმა ი. ლუკიანოვმა, ბ. პეტროვმა, ვ. ვოლკოვმა, ხარკოველმა ს. კრავცოვმა, ოდესელმა ვ. სემენეცმა და გამოცდილმა ვ. ხიტროვმა (ტულა).

# სარბიელს დაუბრუნდა

სსრ კავშირის ტყვიის მსროლელებიდან ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში ყველაზე უკეთ თბილისელმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა შ. ქველიაშვილმა იასპარეზა. მას მანამდეც ბევრ დიდ საერთაშორისო ტურნირში უსახელებია თავი, ტოკიოდან დაბრუნების შემდეგ კი გამოეთხოვა საყვარელ სახეობას. 3 წელი ისე გავიდა, რომ შოთას ერთხელაც არ უვარჯიშია, მაგრამ როცა სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეო სპარტაკიადა კარს მოგვადგა, ქველიაშვილი გუნდის ინტერესებისთვის კვლავ მწყობრში ჩადგა.

მოსკოვის სასროლეთზე მის გამოჩენას მეტოქენი ეჭვის თვალით შეხვდნენ. სამაგიეროდ, შოთას სწამდა საკუთარი თავისა და საპრიზო ადგილებიც მოიპოვა.

„დინამოს" ცენტრალური საბჭოს ოლიმპიური გუნდის ხელმძღვანელობა არც დაფიქრებულა, ისე შეიყვანა ქველიაშვილი ნაკრებში. იგი პირველ კანდიდატად ჩარიცხეს სსრ კავშირის ნაკრების მესვეურებმაც. სპორტსმენი ინტენსიურ ვარჯიშს შეუდგა.

სპარტაკიადის დამთავრებიდან მხოლოდ თვენახევარი გავიდა და ქველიაშვილი ისევ დადგა ცეცხლის ხაზზე — ამას წინათ კიევში იასპარეზა ჩვენი ქვეყნის სპორტსაზოგადოებათა ოლიმპიური გუნდების ტურნირში.

ნებისმიერი მსხვილკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3X40) სროლაში ვ. ბელოკუროვი (ლენინგრადი, დოსააფი) და შ. ქველიაშვილი („დინამო") დიდხანს კვალდაკვალ მიჰყვებოდნენ ერთმანეთს. ბოლოს მცირე უპირატესობა ლენინგრადელმა მოიპოვა. II ადგილზე გასულმა ქველიაშვილმა 1152 ქულა მოაგროვა, რაც 2 ქულით ჩამორჩება მისსავე რესპუბლიკურ რეკორდს (სამაგიეროდ, 8 ქულით აღემატება ტოკიოს ოლიმპიადაში მის მიერ ნაჩვენებ შედეგს, რომელმაც ვერცხლის მედალი მოუტანა). იგი პირველ ნომრად ჩარიცხეს სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში. ამ ტურნირში ქართველმა სპორტსმენმა ყველას აჯობა წოლელა სროლაში — 400-დან 396 ქულა დააგროვა და თავისივე რესპუბლიკური რეკორდი გაიმეორა. ჩოქელა სროლაში მას მეორე შედეგი ჰქონდა — 388.

კიევში კარგად იასპარეზა არმიელმა ვ. სალუქვაძემაც. მან 563 ქულა მოაგროვა მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 50 მეტრზე სროლაში და I ადგილზე გავიდა.

საერთო გუნდური ტურნირი არმიელებმა მოიგეს. „დინამო" II ადგილზეა.

სსრ კავშირის ოლიმპიური გუნდი ამ დღეებში კუბას გაემგზავრება საერთაშორისო შეჯიბრებაში სასასპარეზოდ.

**ო. გელაშვილი.**

# მარცხის მიუხედავად

მძლეოსნურ კროსში „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს წლევანდელი პირად-გუნდური პირველობის მონაწილენი ამას წინათ კუს ტბის მიდამოებში შეიკრიბნენ. სასასპარეზოდ ჩამოვიდნენ აჭარის, გორის, ზუგდიდის, ახალქალაქის, ბოგდანოვკისა და სხვა რაიონების საუკეთესო მორბენლები.

ბოგდანოვკის რაისაბჭოს ფიზიკურად კარგად მომზადებული გუნდი გამოიყვანა, მაგრამ სპორტსმენები სრულიად არ იცნობდნენ მძლეოსნური შეჯიბრების წესებს და ამან სწორედ სარბიელზე იჩინა თავი.

ქალები 1.000 მეტრზე ასპარეზობდნენ. ბოგდანოვკის გუნდის წევრი ლ. ზუიკოვა შუა დისტანციიდან საგრძნობლად დაწინაურდა. ამით გახარებული თანაგუნდელები მას გვერდში ამოუდგნენ და ფინიშამდე „ესკორტით" მიაცილეს (ლიდერობა მძლეოსნობის წესებით აკრძალულია). რა თქმა უნდა, ზუიკოვას შედეგი მსაჯთა კოლეგიამ გააუქმა, — მეგობრების „დათვური სამსახურის" გამო სპორტსმენმა პირველობა დაკარგა.

გამარჯვება მიეკუთვნა ე. პივოვაროვას (აჭარა) — 3.58,0. ამ დისტანციაზე გამოცდა კარგად ჩააბარეს ახალქალაქელებმაც. ჩ. ერანოსიანი (3.58,2) და ს. მანველიანი (4.15,0) მომდევნო ადგილებზე გავიდნენ.

შეჯიბრება უხეიროდ იყო ორგანიზებული. მსაჯთა კოლეგიამ (მთავარი მსაჯი ვ. ფოფხაძე) იზრუნა ასპარეზობის მაღალ დონეზე ჩატარებისთვის, მაგრამ იმის გამო, რომ მონაწილენი შეჯიბრების ადგილზე ერთი საათის დაგვიანებით მიიყვანეს, სპორტსმენებს მოთელვის საშუალება არ ჰქონდათ. ტურნირიც დაგვიანებით დაიწყო.

შეჯიბრება მაინცდამაინც არც მასობრიობით გამოირჩეოდა. გუნდები არ გამოიყვანეს აფხაზეთმა, სამხრეთ ოსეთმა, კასპმა, დუშეთმა, თელავმა, სიღნაღმა და სხვ.

ყველაზე საინტერესო გახლდათ ვაჟთა ასპარეზობა 4.000 მეტრზე. თავიდანვე დაწინაურდა ფიზკულტურის ორი მასწავლებელი: გორის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის წარმომადგენელი ა. მოსულიშვილი და ბოგდანოვკის რაიონის სოფელ გორელოვკის საშუალო სკოლის პედაგოგი მ. კალმიკოვი. ხან ერთი ლიდერობდა, ხან მეორე. ბოლოს მოსულიშვილმა იმარჯვა და მეტოქეს ფინიშზე 2,2 წამით მიასწრო. მისი შედეგია 13.38,8.

ტურნირის შემდეგ შედგა „კოლმეურნის" ნაკრები, რომელიც ოქტომბერში საქართველოს პროფკავშირთა საშემოდგომო კროსში მიიღებს მონაწილეობას.

აი, ტურნირის სხვა გამარჯვებულნი: ქალები. 2.000 მეტრზე რბენა — ა. კაზაკოვა (ბოგდანოვკა) — 7.45,0. ვაჟები. 8.000 მეტრზე რბენა — ნ. მიზელინი (აჭარა) — 27.41,2.

გუნდური პირველობა ზემოხსენებული მარცხის მიუხედავად მოიგო ბოგდანოვკის რაიონის კოლექტივმა. ზუგდიდისა და აჭარის გუნდები მომდევნო ადგილებზე გავიდნენ.

**ო. ივდოშვილი.**

**სურათზე:** 4.000 მეტრზე მორბენალნი დისტანციაზე.

ფოტო ავტორისა.

# [illegible]

### ზესტაფონი

რაიონის სოფლის მოჭიდავეებმა თავიანთი პირველობა ქართულ ჭიდაობაში დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს მიუძღვნეს.

ჩემპიონთა სახელი წონითი კატეგორიების მიხედვით მოიპოვეს: თ. ვარდოსანიძემ (სოფ. ზედა საქარა), ა. ბუაძემ, შ. ზარნაძემ, ჯ. ქაცარიძემ (სამივე — არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა), გ. შეყილაძემ (სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი) და გ. მუმლაძემ (სოფ. მეორე სვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობა).

**ა. განუგრავა.**

### თერთმეტმეტრიანებით...

აჭარის დედაქალაქის მოსწავლეთა 19 გუნდი ორ კვირას ერთმანეთს ეცილებოდა ქალაქის უძლიერესი გუნდის წოდებას.

დაძაბული ბრძოლის შემდეგ ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს 1-ლი და მე-14 სკოლების გუნდებმა. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2. დაინიშნა 5-5 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა. აქ იმარჯვეს 1-ლი სკოლის ნორჩმა ფეხბურთელებმა.

ბათუმი. **ჯ. ქებაძიანი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოლიმპიური რ

ტოკიოს ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ერთი წლით ადრე ი. ტიტოვს ვესაუბრე. მსოფლიოს აბსოლუტურმა ჩემპიონმა სინანული გამოთქვა, რომ ოლიმპიური კვირეულის დროს ტოკიოში ჩასვლა ვერ მოახერხა. „უცხო კედლების შეჩვევას დიდი მნიშვნელობა აქვს, — ამბობდა იგი. — აი, პრაღაში გამიმართლა. იქ მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე გამოვედი სპორტის სასახლეში და უკვე ვიცოდი კულისები: გასასვლელები, გასახდელები. იქაურ ატმოსფეროს შევეჩვიე. გაიგე, ეს წვრილმანი როდია!" ი. ტიტოვი დიდი მცოდნეა ტანმოვარჯიშის ფსიქოლოგიური მომზადებისა. ამ ორი წლის წინ იგი მეხიკოში იყო და ჭაბუკ ვ. კლიმენკოსთან ერთად მონაწილეობდა ოლიმპიური კვირეულის „საცდელ" შეჯიბრებაში. მეხიკოდან დაბრუნების შემდეგ კლიმენკო ბავშვური აღტაცებით ლაპარაკობდა იქაურ ეგზოტიკაზე, ტიტოვი კი, როგორც ექიმი, თურმე ყოველდღე იწერდა თავის დღიურში წვრთნის რა პირობები და როგორი კვება ჰქონდა, რა განწყობილებაზე იყო, აკვირდებოდა მექსიკელი მაყურებლის რეაქციას. დიახ, საპასუხისმგებლო შეჯიბრებებისთვის ტანმოვარჯიშის მზადება მარტო ახალი ელემენტების ათვისებით, ტექნიკის სრულყოფითა და დიდი დატვირთვით კი არ გამოიხატება, წარმატებას წყვეტს ათასი წვრილმანი და ეს უნდა გაითვალისწინო. ამას გარდა, მეხიკო განსაკუთრებული ადგილია. ვიღაცამ ხუმრობით თქვა, მეხიკო ოლიმპიელებისთვის ისეთივე გამოცანაა, როგორც მთვარე — კოსმონავტებისთვისო. თუმცა, აკლიმატიზაციის პრობლემა ტანმოვარჯიშეებს უფრო ნაკლებად აწუხებთ, ვიდრე მძლეოსნებს. მეხიკოში ორმა გამოცდამ გვიჩვენა, რომ მაღალმთიანი ჰავა თითქოს არც ისე საშიშია. მაგრამ ხომ შეიძლება პირუკუ მოხდეს?

წლევანდელი ოლიმპიური კვირეული არა მარტო მაღალმთიანი პირობების გაცნობა და ძალთა შემოწმება, არამედ ოლიმპიადისწინა გენერალური რეპეტიციაც იქნება. სწორედ ამ მიზნითაა მოფიქრებული ტანმოვარჯიშეთა ტურნირის გრაფიკი და მონაწილეთა შემადგენლობა.

მეხიკოში საერთაშორისო შეჯიბრების ისტორიაში პირველად გამოიცდება ოლიმპიური სავალდებულო პროგრამა, რომლის ვარჯიშები რთული და დროდადრო მზაკვრულიცაა. მაგრამ ეს ვარჯიშები შემოქმედებითი ინტერპრეტაციის ფართო გასაქანს იძლევა, ვინაიდან ერთიდაიგივე ელემენტი შეიძლება სხვადასხვაგვარად შეასრულო: გინდა

და უკვე ცნობილი
გინდა შესრულების ახა
ტური საშუალება მ
ეს გააკეთა, მაგალითად
რგოლებზე. საბჭოთა
მა მრავალი ახალი
მაგრამ ახლა ჩვენ გვ
ტოქეების შემოქმედება
იაპონელებმა კიდევ უ
შები გვიჩვენონ? სხვა
პირველად ჩამოდიან
ნიაში ჩატარებული შ
დეგებიდან ჩანს, რომ მ
ვისეს სავალდებულო
შორის, ერთმანეთს სა
საბჭოთა ტანმოვარჯიშ
მეულის შედეგები სსრ
თა საიუბილეო სპარტ
ბულო ვარჯიშებში და
გამარჯვებული სამი პ
ბი. შეადარეთ: მ. ვორ
დოვი, ვ. ლისიცკი —
56,55. ი. ენდო, ს. კა
57,0; 56,9; 56,75.

ოლიმპიურ კვირეულ
რი ბრძოლა გაჩაღდებ
ცარნაგი გამოარკვევს
ბას, გასაქანს მის
განამტკიცებს ან შე
შის ვარსკვლავთა რეპ
ჯიშში, სადაც მსაჯობა
რია, რეპუტაცია არც
როლს ასრულებს.

იაპონიის გუნდში
კარგად ცნობილი სპო
ლიო ჩემპიონი თავ
და ღერძზე ა. ნაკაიამა,

●

ჰავანაში, რო
ცნობილია, გაიმარ
პაბლანკას ხსოვნის
თაშორისო საჭად
ტურნირი. I ადგილ
კავა ბ. ლარსენმა (
— 15 ქულა 19-დან
ადგილი წილად ხვ
ტაიმანოვს, III — ვ
სლოვს (ორივე —
კავშირი).

• • •

**სურათზე:** (
ნიდან) მ. ტაიმანო
ლარსენი და ვ. სმის

ტელეფოტო
ლატინა-საკდესი

●

# ყოველ

### გვიამბობს პოლ ბლანკი

სექტემბრის დღეებში გრენობლში 25 გრადუსი სითბოა, უკვე ზამთარზე ფიქრობს, მომავალი ზამთრით ცხოვრ
ოლიმპიური თამაშების წელია. „პარკ პელ მოსტრელში" მთავრდ
ნი ყინულის ბილიკის მოწყობა. ბილიკის ბეტონის საფარზე ჯერ
კამკამებს, მაგრამ „საცდელი გაყინვა" უკვე წარმატებით მოეწყ

პირველი ოლიმპიური ნაგებობა, რომელიც წლეულს დაიჭერ
კეს მოედნიანი ყინულის სასახლეა. თამაშების საორგანიზაციო
რახული აქვს, რომ 14 ოქტომბერს სწორედ აქ ჩაატაროს დიდ
ტურნირი ჰოკეიში. ელიან სსრ კავშირის, კანადის, აშშ-ს და სხვ
ლიერეს გუნდებს.

„14 ოქტომბრისთვის ყველაფერი მზად იქნება", — ამბობს
პიური თამაშების „პრესის შეფი" პ. ბლანკი.

ჟურნალისტები ეკითხებიან: ამ ტურნირის გამო ხომ არ და
ბელი ჰოკეისტთა ოლიმპიურ შეჯიბრებებს? ოლიმპიური მატჩებ
ძალიან ძვირი ღირს. სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, შვეციის
გუნდების თამაში რომ ნახო, 450 ფრანკი უნდა გადაიხადო.

ბლანკი უპასუხებს:

„ეს შიში უსაფუძვლოა. ფრანგებს უყვართ ჰოკეი, თუმცა ჩვ
ნავეთა რიცხვში არ შედის. ამას გარდა, ჩვენ ყოველმხრივ
დარბაზი: ყინულის მდგომარეობა, მისი შეცვლის შესაძლებლო
ტრიბუნები. ეს ყველაფერი მხოლოდ დიდი ტურნირის დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეპეტიციის წინ

ეში დაიცავი,
უფრო ეფექ-
მნე; როგორც
მ. ვორონინმა
ნმოვარჯიშეებ-
ეთი მოძებნეს,
უცხოელი მე-
ნამოთ. იქნებ
კარგი ნიმუ-
შორის, ისინი
ოგომში. იაპო-
ბრებების შე-
კარგად აით-
ერმა. სხვათა
რად ემთხვევა
პირველი სა-
მორის ხალხ-
ების სავალდე-
მონიის თასზე
ორის ქულე-
ნ, ხ. დიომი-
67,0; 56,75;
ა. ნაკაიამა —

ძალზე მძაფ-
მეხიკოს ფი-
ითა შეფარდე-
პროგნოზებს,
ან ტანვარჯი-
ვიას. ტანვარ-
რო სუბიექტუ-
უმნიშვნელო

თან ჩვენთვის
მენები, მსოფ-
ლო ვარჯიშში
ვუნის შარშა-

ნდელი აბსოლუტური ჩემპიონი ტ. კატო, ოლიმპიური ჩემპიონი რგოლებზე ტ. ხაიატა, ი. ენდო, რომელიც კვლავ უძლიერესთა შორისაა. მათთან ერთად ალბათ ვნახავთ ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეებს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ამ ზაფხულს: იაპონიის სტუდენტთა პირველობაში გამარჯვებულ 21 წლის ს. კატოს და 20 წლის ე. კენმოტეოს.

საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში არიან მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი მ. ვორონინი (22 წლის), მსოფლიო ჩემპიონი ორძელზე ს. დიომიდოვი (24 წლის), ევროპის ჩემპიონი ცალკეულ იარაღებზე ვ. ლისიცკი (28 წლის), სსრ კავშირის ჩემპიონი ხტომებში ვ. კლიმენკო (18 წლის), მსოფლიო ჩემპიონატის ფინალისტი ვ. კარასიოვი (21 წლის) და ახალბედა ვ. შოსინი (20 წლის). ამ გაზაფხულს შოსინმა მოსკოვის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, ხოლო ხალხთა სპარტაკიადაში იუნიორთა შორის II ადგილი დაიკავა კლიმენკოს შემდეგ.

ჩვენი ოლიმპიელების ექვსეული ახალგაზრდულია. მაგრამ ერთი თაობისა და სკოლის წარმომადგენლებს შესრულების სხვადასხვა მანერა აქვთ. ვორონინს უყვარს ვარჯიშის რაინდული დამთავრება. მისი ყველა ილეთი გამოკვეთილია. შესრულების ტემპი — აუჩქარებელი. დიომიდოვის სტილში შეიმჩნევა ტემპის კონტრასტულობა, მახვილი გადააქვს ცალკეულ ელემენტებზე (გაიხსენეთ მისი ცნობილი „ტრიალა“). კლიმენკოს სტილი განსაკუთრებით ენერგიულია, კარასიოვი უფრო ვორონინს წააგავს, მაგრამ „აფეთქება“ ახასიათებს, განსაკუთრებით მაღალი და რთული აკრობატული ხტომების დროს. შოსინი რგოლებზე ვარჯიშისას სახელგანთქმულ ა. აზარიანს გვაგონებს — იგივე შლიბჯენი და შესრულების შესაშური სიმსუბუქე.

ოლიმპიურმა კვირეულმა უნდა გვიჩვენოს საერთაშორისო ტანვარჯიშის განვითარების პერსპექტივები. ბოლო წლებში ტენდენციები იცვლებოდა. ტოკიოს ოლიმპიადაში იაპონელებმა წარმატებას მიაღწიეს უჩვეულო სირთულის, ეგრეთ წოდებული „ულტრა-სის“ ელემენტების ხარჯზე. ორი წლის შემდეგ, დორტმუნდის მსოფლიო ჩემპიონატში ეტალონი შეიცვალა. უპირატესობა ენიჭებოდა მაღალ კლასს, სრულყოფილ ტექნიკას, ორიგინალურ კომპოზიციას. იაპონელებმა თითქოს დაივიწყეს თავიანთი „ულტრა-სი“, დახვეწილი ოსტატობა, სინატიფე და სიზუსტე გვიჩვენეს. მაგრამ ეს ყოველივე უფრო მეტი იყო მ. ვორონინის მოძრაობებში. მას მსოფლიოში ყველაზე ელეგანტური ტანმოვარჯიშე უწოდეს. კამათი დღესაც არ შემწყდარა: როგორი გზით განვითარდება დიდი ტანვარჯიში. იქნებ დორტმუნდი ზრდის სტაბილიზაციის მხოლოდ ერთი ეტაპი იყო და სირთულე კლასიკური ფორმების ჩარჩოებში უნდა გაგვემაგრებინა? მაგრამ მაშინ განვითარების შემდგომ ეტაპზე სირთულის მრუდი კვლავ ზევით უნდა ავარდეს. მოხდება ეს მეხიკოში?

ამ გაზაფხულს მოსკოვს სტუმრობდა სახელგანთქმული შვეიცარიელი მწვრთნელი ჟაკ გიუნტჰარდი. საბჭოთა კოლეგებთან საუბრისას მან თქვა:

— მჯერა, მეხიკოში სირთულის ფასი ისევ აიწევს. ჩემს ბიჭებს სწორედ ამისთვის ვამზადებ.

ახალგაზრდა საბჭოთა ტანმოვარჯიშეებიდან გიუნტჰარდმა განსაკუთრებით აღნიშნა კლიმენკო: ოლიმპიური თამაშებისთვის იგი შეიძლება უკვე ფავორიტი იყოსო. მართლაც, ვიქტორი დღითი დღე კი არა, საათობით იზრდება. ამას გარდა, მისი სტილი, ტექნიკა და ძალზე რთული ვარჯიშები თანამედროვე საბჭოთა ტანვარჯიშის კურსის ნათელი გამოსახულებაა. კლიმენკოს მწვრთნელი, ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი კ. კარაკაშიანცი ამბობს:

— ვფიქრობ, მეხიკოში ლიდერთა შედეგები ძალზე მჭიდრო იქნება. გადამწყვეტ უპირატესობას, გამოხატულს მეათედი ან მესამედი ქულით, მოიპოვებს მხოლოდ დიდი სირთულე.

იაპონიიდან მოსული ამბებიც ამას ამტკიცებს. ჩვენი მთავარი მეტოქეები ახალ „ულტრა-სის“ ითვისებენ და მეხიკოს ოლიმპიური რეპეტიცია ალბათ მოპოვებული წარმატებების შედარების საშუალებას მოგვცემს.

**ა. კულაკოვი,**
**სპორტის ოსტატი.**

**საბჭოთა სპორტსმენები (მარჯვნიდან) — ბ. ვოლუშინი, ვ. კუდრიავცევი და გალინა ვოლუშინა ვლადივოსტოკიდან ბრნოს ჩავიდნენ „იავა-350“ მარკის ჩეხოსლოვაკური მოტოციკლებით. გზაში მათ 4 თვემდე დაჰყვეს.**

ფოტო ჩტკ-საკდესისა.

# მისამართია: მეხიკო

— ვფიქრობ, რომ ოლიმპიადებისთვის მზადების ისტორიაში რეპეტიციების პერიოდს სპორტსმენთა, მწვრთნელთა და მეცნიერთა წინაშე ამდენი პრობლემა არასოდეს წამოუჭრია, — ასე დაიწყო საუბარი აას-ის კორესპონდენტთან ცენტრალური სპორტკავშირის უფროს მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ს. ვოიცეხოვსკიმ.

— მთავარ პრობლემას კვლავინდებურად აკლიმატიზაცია წარმოადგენს, რაზეც მაღალმთიანი მეხიკოს პირობებში სპორტსმენთა წარმატებები იქნება დამოკიდებული, — განაგრძობს ვოიცეხოვსკი. — მექსიკის ოლიმპიური კომიტეტის თაოსნობით 1965 წლიდან მეხიკოში ტარდება წინასაოლიმპიადო კვირეულები, რომელთა მიზანია მომავალ ოლიმპიელებს ზღვის დონიდან 2.200 მეტრის სიმაღლეზე შეჯიბრებების პირობები გააცნონ.

პირველ ასპარეზობაში 20 ქვეყნის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. მეორე კვირეულმა 25 ქვეყნის ოლიმპიელებს მოუყარა თავი: შარშან ოქტომბერში დაახლოებით 700 სპორტსმენი და 100 მეცნიერი ეწვია მეხიკოს. სსრ კავშირიდან პირველ კვირეულში მონაწილეობდნენ მოფარიკავეები, მოცურავეები, მძლეოსნები, ტანმოვარჯიშეები, ველოსიპედისტები და მოკრივეები. ერთი წლის შემდეგ მეხიკოს სპორტის იმავე სახეობის წარმომადგენლები და წყალში მხტომელები გაემგზავრნენ.

● **მეხიკოში ორი რეპეტიციის შემდეგ ალბათ უკვე შეიძლება ითქვას, თუ სპორტის რა სახეობების წარმომადგენლები შეეგუებიან მაღალმთიან პირობებს?**

— ჯერჯერობით ყველაზე უკეთ მეხიკოში სპრინტერები, სიმაღლესა და სიგრძეზე მხტომელები და მტყორცნელები (უმთავრესად, უროს მტყორცნელები) გრძნობენ თავს. მაგალითად, ცნობილი კუბელი მძლეოსანი ე. ფიგუეროლა მეხიკოში ორჯერ გამოვიდა და შესაბამისად 10,3-10,4 წამი აჩვენა. საბჭოთა სპორტსმენმა ი. ლუსისმა შუბი 81,92 მეტრზე, ხოლო რ. კლიმმა ურო 70,20 მეტრზე ტყორცნა.

სხვა სურათია სპორტის იმ სახეობებში, სადაც მთავარი გამძლეობაა. ესაა 800 მეტრიდან მარათონულ დისტანციებამდე რბენა, ნიჩბოსნობა, 400 მეტრსა და უფრო გრძელ მანძილებზე ცურვა. ამავე ჯგუფს უნდა მივაკუთვნოთ ველოსპორტი, ყველა სპორტული თამაში და თანამედროვე ხუთჭიდი. მაღალმთიან პირობებში სპორტის ამ სახეობების წარმომადგენლებს ჟანგბადი არ ყოფნით, რაც მათ შრომისუნარიანობას ამცირებს.

მეხიკოში 5000 მეტრის გარბენას 14 წუთი და 41,8 წამი მოანდომა ცნობილმა ავსტრალიელმა რ. კლარკმაც კი, რომელიც საუკეთესოდაა ნავარჯიშევი და სტაიერულ დისტანციებზე მუდამ მაღალ შედეგებს აღწევს.

● **აკლიმატიზაციის პრობლემაზე ბევრი ქვეყნის მეცნიერები და სპორტის სპეციალისტები მუშაობენ. რა კონტაქტი აქვთ მათთან დამყარებული საბჭოთა სპეციალისტებს?**

— საბჭოთა სპორტსმენები, მეცნიერები და მათი უცხოელი კოლეგები სიამოვნებით უზიარებენ ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას. გასულ ზაფხულს მოსკოვში ჩატარდა მეცნიერთა და მწვრთნელთა საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია, რომელმაც სპორტული წვრთნის პრობლემები განიხილა. იქ, ბუნებრივია, იყო საუბარი აკლიმატიზაციის საკითხებზეც.

● **გთხოვთ დაასახელოთ შემადგენლობა საბჭოთა სპორტული დელეგაციისა, რომელიც მესამე წინასაოლიმპიადო კვირეულში მიიღებს მონაწილეობას.**

— განზრახულია, რომ მეხიკოში გაემგზავრონ მოკრივეები, მოჭიდავეები (კლასიკური და თავისუფალი ჭიდაობა), ველოსიპედისტები (ტრეკი), წყალბურთელები, ნიჩბოსნები (ბაიდარა, კანოე და აკადემიური ნიჩბოსნობა), ტანმოვარჯიშეები, მძლეოსნები, მოცურავეები, წყალში მხტომელები, ხუთჭიდელები, აფროსნები, მსროლელები (ტყვიისა და სასტენდო სროლა), ძალოსნები და მოფარიკავეები.

სულ საბჭოთა გუნდში 120 სპორტსმენი იქნება. დელეგაციის შემადგენლობაში შედის მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების ბევრი ჩემპიონი და რეკორდსმენი: ტანმოვარჯიშეები მ. ვორონინი და ნ. კუჩინსკაია, მძლეოსნები ი. ტერ-ოვანესიანი, რ. კლიმი, ი. ლუსისი, მოკრივეები ვ. აგეევი, ვ. ფროლოვი, მოცურავეები ს. ბელიც-გეიმანი, გ. კუზმინი, გ. პროზუმენშჩიკოვა. მეცნიერ-მუშაკთა ჯგუფს უხელმძღვანელებს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ა. კორობკოვი.

**ი. არუთიუნიანი.**

## პატარა თვითმფრინავების ბრძოლა

*სოფია, 29 სექტემბერი. ავიამოდელისტთა საერთაშორისო შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენმა ა. ჩაევსკიმ გაიმარჯვა თვითმფრინავთა მფრინავი ასლების კლასში. მისმა მინიატურულმა „ან-2“-მა 407 ქულა დააგროვა. II ადგილი წილად ხვდა სხვა საბჭოთა თვითმფრინავ „იაკ-18“-ის მოდელის ავტორს, პოლონელ ოსტროვსკის — 366 ქულა.*

*საკორდო მოდელებით შეჯიბრებაში გაიმარჯვა უნგრელმა ი. ტოტმა. მისმა „თვითმფრინავმა“ 238 კმ სისწრაფე განავითარა საათში. II ადგილი დაიკავა ნოვოსიბირსკელმა ა. ლაპინინმა, რომლის მოდელმა საათში 226 კმ-ის სიჩქარით იფრინა.*

## მხრიდან

ებ-
ა.
ვი,
მა

რამ ქალაქი
1968 წელი
00-მეტრია-
ით წყალი

ცდას, პო-
ეტს განზ-
თაშორისო
ენების უძ-

რის ოლიმ-

ება მაყურე-
ეთები ხომ
დის, აშშ-ს

ნდი მოწი-
ვამოწმოთ
ახდელები,
ება გაკეთ-

დეს სავსე დარბაზში. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ტურნირიცა და ოლიმპიური ასპარეზობაც კარგად ჩატარდება“.

### რაფაელას ტრაგედია

*პროფესიულ ავტორბოლას კვლავ მსხვერპლი მოჰყვა. არგენტინის ქალაქი რაფაელა ძაძითაა მოსილი. ყველა ზეიმი გადაიდო, კაფეებსა და რესტორნებში მუსიკა აღარ ისმის.*

*ტრადიციულმა რბოლამ 500 მილზე, რომელიც ამ ქალაქში ტარდებოდა, მსოფლიოს უძლიერესი პროფესიონალი მრბოლელები მიიზიდა. გამარჯვებულს კარგა ბლომად ფული ელოდა. თავის წილს მიიღებდნენ ცალკეული ეტაპების მომგები სპორტსმენებიც — მათ პრემიებს აძლევდნენ ის ფირმები, რომლებიც შეჯიბრების დროს თავიანთ საქონელს უკეთებდნენ რეკლამას.*

*რბოლის ტემპი უაღრესად დაძაბული იყო. ხუან მანაბელამ, რომელიც წინ გაჭრას ლამობდა, ორ მანქანას შუა გასხლტომა სცადა. მანქანები გადაბრუნდა და მაყურებლებისკენ გაფრინდა. მყისვე იქით გაცვივდნენ სანიტრებიც.*

*ცეცხლმოკიდებული მანქანების ნამსხვრევებიდან ხუთი მაყურებლის გვამი ამოიღეს. მანაბელაც დაიღუპა. რამდენიმე კაცი მძიმედ დაიჭრა, მაგრამ რბოლის შეწყვეტა აზრადაც არავის მოსვლია.*

*კარლოს რიუმმა მოსახვევში გაქანებული მანქანა ვერ შეაკავა და პირდაპირ მაყურებელთა ჯგუფში შეიჭრა. ბევრი დაიჭრა, ერთი მოკვდა. რბოლა კვლავ გრძელდებოდა.*

*მსხვერპლზე მხოლოდ მაშინ იფიქრეს, როცა გამარჯვებულს პრიზი გადაეცა. თურმე ამ შეჯიბრებისას 7 კაცი მოკვდა, 20 მძიმედ დაიჭრა, 30 — მსუბუქად. აი, ეს გახლდათ რაფაელას ტრაგედია.*

### თხილამურებით ხტომა — თვითმფრინავიდან

**ცნობილმა ავსტრიელმა სამთომოთხილამურემ ერიხ ფელბერმაიერმა განაცხადა, რომ მომავალ ზამთრის სეზონში აპირებს რამდენიმე ნახტომი გააკეთოს თვითმფრინავიდან. ფელბერმაიერს სურს 6.000 მეტრზე ავიდეს, თვითმფრინავიდან თხილამურებით გადმოხტეს და მატერჰორნის მთის ფერდობზე დაეშვას.**

**ავსტრიელმა სპორტსმენმა ჟურნალისტებს განუცხადა, უპარაშუტოდ გადმოვხტებიო. იგი ანგარიშობს, რომ დაახლოებით 3 ათას მეტრს თავისუფლად იფრენს, მერე წინასწარ მომზადებულ ადგილზე დაეშვება და თხილამურებითვე გააგრძელებს გზას. სპორტული საქონლის უდიდესმა ავსტრიულმა ფირმამ საგანგებოდ მისთვის დაამზადა ხისა და ლითონისგან ნაკეთები თხილამურები.**

**ფელბერმაიერი უკვე საკმაოდ ცნობილია სათხილამურო ტრიუკებით. დოლომიტში იგი 200-მეტრიანი კლდიდან გადმოხტა და მშვიდობიანად დაეშვა. მან უკვე სცადა თვითმფრინავიდან გადმოხტომაც.**

**„თვითმფრინავიდან თხილამურებით ხტომა, — განაცხადა ავსტრიელმა სპორტსმენმა, — ბევრს თვითმკვლელობად მიაჩნია. მე რომ მკითხოთ, მთლად ასე როდია. რა თქმა უნდა, ოჯახზე ფიქრი რომ დაიწყო, 6.000 მეტრიდან გადმოხტომას ვერასოდეს გაბედავ. მაგრამ როგორც კი გაიფიქრებ, რა ფული შეიძლება მოჰყვეს რისკს, სხვა ყველაფერი მყისვე გავიწყდება. მე მიჩვეული ვარ რისკს. მატერჰორნს კარგად ვიცნობ. იმედი მაქვს ეს სეზონი მშვიდობით დამთავრდება და გამარჯვების ნაყოფს მოვიმკი. უნდა ვიჩქარო, სანამ მსოფლიოში ჯერ სხვას არავის გაუბედია ხელობად თვითმფრინავიდან თხილამურებით ხტომა. ერთი სიტყვით, ეს ზამთარი ჩემთვის ან გამარჯვების ზამთარი იქნება, ან...“**

### ევროპის პირველობა

## უნგრელთა გამარჯვება

ოთხშაბათს ბუდაპეშტის „ნეპშტადიონზე“ ევროპის ჩემპიონატის მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ V შესარჩევი ჯგუფის გუნდები — უნგრეთი და გდრ. გერმანელთათვის ამ თამაშს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა: მოგების შემთხვევაში ისინი ფინალში გასვლის შანსებს ინარჩუნებდნენ. მაგრამ უნგრეთის ნაკრების უპირატესობა ნათელი იყო — 3:1.

აღსანიშნავია, რომ სამივე გოლი გაიტანა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ფარკაშმა.

ამ გამარჯვების შემდეგ უნგრეთის ნაკრები ფაქტიურად ჯგუფში გამარჯვებულად შეიძლება ჩაითვალოს.

## რ. ილოვსკი ოპტიმისტურადაა განწყობილი

უნგრეთის ნაკრები ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება ევროპის მიმდინარე ჩემპიონატში.

ამ დღეებში ბერლინის გაზეთ „დოიჩეს შპორტეხოს“ კორესპონდენტთან საუბარში უნგრელების მთავარმა მწვრთნელმა რ. ილოვსკიმ თქვა:

— ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ჩვენს გუნდს საყურადღებო ბალანსი აქვს: 6 მოგება და 1 ფრე. ჩვენ გვწადია გავაგრძელოთ მოგებათა ეს სერია. გუნდის სახე ბოლო ხანებში შეიცვალა. იგი უფრო ძლიერი გახდა. ამიტომაა, რომ ევროპის ჩემპიონატის ფინალშიც მოვხვდით.

უნგრელებს მიაჩნიათ, რომ მათი გუნდის წარუმატებლობა ინგლისში მეკარეების (სენტმიხაი და გელეი) სუსტი თამაშის ბრალი იყო. ახლა ილოვსკიმ დააწინაურა მეკარე ტამაში, რომელსაც მისი აზრით, დიდი მომავალი აქვს. „ძველი გვარდიიდან“ დაშავებულია ცენტრალური მცველი მესეი, რომელსაც ახლა ისევ ვეტერანი მატრაი ცვლის. დიდ ყურადღებას იპყრობს მცველი შუცი, რომელმაც შეცვალა სუსტ ფორმაში მყოფი იხაში.

ინგლისში წარმატებით თამაშობდნენ ახალგაზრდა თავდამსხმელები ბენე და ფარკაში. ილოვსკიმ ნაკრებში მიიწვია ლაიოშ პუშკაში და ვარგა. ამ ორ ახალგაზრდას კარგად იცნობენ გულშემატკივრები. განსაკუთრებით კარგად თამაშობს ვარგა, რომელიც, მწვრთნელის სიტყვით, თვით ალბერტსაც კი არ ჩამოუვარდება.

ილოვსკიმ განაცხადა:

— გუნდის საწვრთნელი მეცადინეობა ისეა დაგეგმილი, რომ უნგრელები საუკეთესო ფორმაში სწორედ ევროპის ჩემპიონატის გადამწყვეტი თამაშების წინ შევიდნენ. დაცვა კვლავ გაძლიერდება ახალი მოთამაშეებით.

მარცხენა მცველის ადგილზე მწვრთნელს გადაწყვეტილი აქვს მოიწვიოს 21 წლის ბენჩიჩი („ფერენცვაროში“).

უნგრელებს თავიანთ გუნდში არა აქვთ სუსტი ადგილი და მზად არიან მომავალი ბრძოლებისთვის.

## კიევში ჩასვლის წინ

შოტლანდიის კლუბი „სელტიკი“, რომელიც ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების საპასუხო მატჩისთვის ემზადება კიევის „დინამოსთან“, 27 სექტემბერს შოტლანდიის ლიგის თასის მეოთხედფინალურ მატჩში შეხვდა კლუბ „ეირ იუნაიტედს“. გაიმარჯვა „სელტიკმა“ — 2:0.

ორშაბათს „სელტიკი“ კიევში ჩავა.

სტოკჰოლმი. ევროპის ჩემპიონატის II შესარჩევი ჯგუფის გუნდების — პორტუგალიისა და შვეციის მატჩი. მსაჯის საფინალო სასტვენამდე 15 წამით ადრე შვედმა სვენსონმა სტუმრების კარში გაიტანა ბურთი და მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. სურათზე სწორედ ეს მომენტია აღბეჭდილი: ბურთის ავტორი და სიმონსონი უდიდეს სიხარულს გამოხატავენ.

## ლაუტონს თამაში სურს

47 წლის ტომი ლაუტონი ომისშემდგომი ინგლისური ფეხბურთის ცნობილი ცენტრალური თავდამსხმელია. იგი კარგა ხანია გამოეთხოვა მწვანე მინდორს და ვაჭარი გახდა. მაგრამ, როგორც თვითონ ამბობს, ვაჭრობა მისი საქმე სულაც არაა.

— სიამოვნებით ვითამაშებ ფეხბურთს ინგლისის ნებისმიერ პროფესიულ კლუბში. თავს კარგად ვგრძნობ და შემიძლია დავამტკიცო, რომ თამაში კიდევ შემიძლია, — თქვა ლაუტონმა.

ახლა სიტყვა კლუბებს ეკუთვნით. ეგებ მართლაც ვინმემ მოისურვოს ამ განთქმული თავდამსხმელის უფლებებში აღდგენა.

## ამხანაგური მატჩები

ოთხშაბათს ბრიუსელში ითამაშეს ბელგიისა და ინგლისის საფეხბურთო ლიგების ნაკრებმა კოლექტივებმა (ფაქტიურად, ეროვნულმა გუნდებმა). ინგლისელთათვის ეს მატჩი პირველია ახალ სეზონში და მომავალი შეხვედრების რეპეტიციად უნდა ჩაითვალოს.

სტუმრებმა, რომელთა შორის მსოფლიოს 6 ჩემპიონი იყო, თავიდანვე მძაფრად შეუტიეს მეტოქეს და 37-ე წუთზე მ. პიტერსმა აიღო ბელგიელთა კარი. შესვენებამდე ანგარიში არ შეცვლილა.

შესვენების შემდეგ ინიციატივა თანდათან ხელთ იგდეს ბელგიელებმა და 70-ე წუთზე პიუიმ ანგარიში გაათანაბრა. რამდენიმე წუთის შემდეგ ინგლისელმა ა. კლარკმა კვლავ დააწინაურა თავისი გუნდი — 2:1, მაგრამ ბელგიელთა ცენტრფორვარდს პ. ვან ჰიმსტს სულ 60 წამი დასჭირდა ანგარიშის გასათანაბრებლად — 2:2. მატჩი ასევე დამთავრდა.

• • •

იმავე დღეს დასავლეთ ბერლინის „ოლიმპია - შტადიონზე“ ამხანაგურ მატჩში იასპარეზეს მსოფლიო პირველობის ვერცხლის პრიზიორმა — გფრ-ის ნაკრებმა და საფრანგეთის ეროვნულმა გუნდმა. გერმანელთათვის ეს იყო ბოლო რეპეტიცია იუგოსლავიელებთან ევროპის პირველობაზე შესარჩევი მატჩის წინ, რომელიც 4 ოქტომბერს გაიმართება ჰამბურგში.

გფრ-ის ნაკრებმა ყველა რგოლში დაჯაბნა ფრანგები და გაიმარჯვა — 5:1.

(საქ. ინფ.).

## ფეხბურთი 67

### ზამორას პატივსაცემად...

ოთხშაბათს, მადრიდის „სანტიაგო ბერნაბეუს“ სტადიონზე ლეგენდარული ესპანელი მეკარის რიკარდო ზამორას საპატივცემლო მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ საერთაშორისო ვარსკვლავთა ნაკრები და ესპანეთის ეროვნული გუნდი.

საერთაშორისო ნაკრები (მოამზადა ე. ერერამ) ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: სარტი, ბურგნიჩი (ორივე — იტალია), ური (შოტლანდია), შნელინგერი (გფრ), კუკი (შოტლანდია), ჰამრინი (შვეცია), კოლუნა (პორტუგალია), რივერა, მაცოლა (ორივე — იტალია), ეუსებიო (პორტუგალია), კორსო (იტალია). შესვენების შემდეგ სარტი, ჰამრინი, კოლუნა და ეუსებიო შეცვალეს ბონეტიმ (ინგლისი), მაჩადომ (ბრაზილია), ბენიტესმა (ურუგვაი) და გოივარტსმა (ბელგიელი, რომელიც ესპანეთში თამაშობს).

სტუმრებმა — ს. მაცოლამ, ეუსებიომ და ქ. გოივარტსმა 3 „მშრალი“ ბურთი გაიტანეს მასპინძელთა კარში — 3:0.

## ჯონ ნიუკომბი — № 1

სპეციალისტთა დიდი კონკურსის შედეგების მიხედვით მსოფლიოს № 1 ჩოგბურთელად მოყვარულთა შორის გამოცხადებულია 23 წლის ავსტრალიელი ჯონ ნიუკომბი.

კონკურსის მონაწილე სპეციალისტებს უნდა გაეთვალისწინებინათ სეზონის ხუთი ძირითადი შეჯიბრება: უიმბლდონის, აშშ-ს, იტალიის, საფრანგეთისა და ავსტრალიის ღია ჩემპიონატები.

აი, კონკურსის შედეგები:

1. ჯ. ნიუკომბი (ავსტრალია) — 208 ქულა, 2. რ. ემერსონი (ავსტრალია) — 80, 3. კ. გრებნერი (აშშ) — 60, 4. ვ. ბუნგერტი (გფრ) — 60, 5. ტ. როჩე (ავსტრალია) — 43, 6. ნ. პილიჩი (იუგოსლავია) — 40, 7. ჯ. სკოტი (აშშ) — 30, 8. ჟ. ლეში (დანია) — 30, 9. რ. ტეილორი (ინგლისი) — 30 ქულა.

ნიუკომბს გადაეცა ვერცხლის ჩოგანი. ნიუ-იორკში საზეიმო ცერემონიალის დროს მან განაცხადა:

— დარწმუნებული არა ვარ, რომ ავსტრალია შეინარჩუნებს დევისის თასს. ძალიან ძლიერად დაიწყეს თამაში აშშ-სა და სამხრეთ აფრიკის გუნდებმა. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ მომავალ შეჯიბრებებში ისიც, რომ შესამჩნევად მომძლავრდნენ იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის გუნდებიც.

## უიმბლდონის გამარჯვებულთ...

დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში, რომელშიც ევროპისა და ავსტრალიის ბევრი გამოჩენილი მოთამაშე მონაწილეობდა. საყურადღებოა, რომ ქალთა და ვაჟთა ორივე მთავარი ჯილდო უიმბლდონის წლევანდელ გამარჯვებულთ დარჩათ: ვაჟთა ფინალში ჯ. ნიუკომბმა სძლია კ. გრებნერს — 6:4, 6:4, 8:6, ხოლო ქალთა გადამწყვეტ მატჩში — ბ.-ჯ. კინგმა (აშშ) — ა. ჯონსს (ინგლისი) — 11:9, 6:4.

## ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე...

ოთხშაბათს მეთექვსმეტედფინალის საპასუხო მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მალტის „ჰიბერნიენი“ და ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედი“ (პირველი მატჩი ინგლისელებმა მოიგეს — 4:0). უპირატესობა ამჯერადაც ინგლისის ჩემპიონის მხარეზე იყო, მაგრამ შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 0:0. „მანჩესტერ იუნაიტედი“ გათამაშების მერვედფინალში გავიდა.

თასის გათამაშებაში ჩაერთვნენ პლოვდივის „თრაკიისა“ და ბუქარესტის „რაპიდის“ ფეხბურთელებიც. საბჭოთა მსაჯმა ს. ალიმოვმა სამჯერ აღნიშნა პლოვდივში რუმინელთა კარის აღება — 3:0.

◆

## ...თასების მფლობელთა თასზე

ოთხშაბათს ლონდონში საპასუხო მეთექვსმეტედფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ტოტენჰემ ჰოტსპური“ და სპლიტის „ჰაიდუკი“ (პირველ თამაშში გაიმარჯვეს ლონდონელებმა — 2:0).

პირველ ტაიმში „ტოტენჰემმა“ 3 „მშრალი“ გოლი გაიტანა მეტოქის კარში, მაგრამ შესვენების შემდეგ იუგოსლავიელებმა სამივე ბურთი გაქვითეს. მხოლოდ მატჩის მიწურულში ლონდონელმა რობერტსონმა თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა — 4:3. „ტოტენჰემ ჰოტსპური“ მერვედფინალში გავიდა.

მერვედფინალში გავიდა, აგრეთვე, ბუქარესტის „სტიაუა“, რომელმაც საპასუხო შეხვედრა მოუგო „ფკ აუსტრიას“ (ავსტრია) — 2:1 (პირველ მატჩშიც რუმინელებმა იმარჯვეს — 2:0).

◆

## ...ბაზრობათა თასზე

თუმცა პლოეშტის „პეტროლულმა“ საპასუხო მატჩში შინ შეძლო ზაგრების „დინამოს“ დამარცხება (2:0), გათამაშების შემდეგ წრეში იუგოსლავიელები გავიდნენ (პირველი მატჩი „დინამომ“ მოიგო — 5:0).

ლისაბონში ადგილობრივმა „სპორტინგმა“ მოუგო „ბრიუჟს“ (ბელგია) — 2:1. პირველი მატჩი ფრედ დამთავრდა (0:0). ამრიგად, „სპორტინგი“ გათამაშების შემდეგ წრეში გავიდა.

ამსტერდამში გათამაშების პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ „დვს“ (ამსტერდამი) და შოტლანდიის „დანდი“. გაიმარჯვეს ჰოლანდიელებმა — 2:1.

იუგოსლავიის „პარტიზანმა“ შინ მოუგო ბულგარეთის „ლოკომოტივს“ — 5:1.

## ქარიშხალზე სწრაფი

მილანში, „ვიგორელის“ ველოტრეკზე საათში 47 კმ, 493,66 მ დაფარა ცნობილმა ფრანგმა მრბოლელმა, „ტურ დე ფრანსის“ ხუთგზის გამარჯვებულმა ჟაკ ანკეტილმა. ეს ახალი მსოფლიო რეკორდი. პირველი რეკორდი საათიან რბოლაში (47 კმ, 346,89 მ) 9 წლის უკანაა დამყარებული და ეკუთვნის ანკეტილის თანამემამულეს როჟე რივიერს.

ბევრ სპეციალისტს მიაჩნდა, რომ 33 წლის ასაკში ანკეტილს ეს თამამი ცდა არ გაუმართლებდა, მაგრამ ვეტერანმა უმაღლესი ტემპით გაიარა დისტანცია, განსაკუთრებით კი მისი მეორე ნახევარი.

ანკეტილი საგანგებოდ მისთვის გაკეთებული მსუბუქი ველოსიპედით ასპარეზობდა. სპორტსმენს ხელს უწყობდა თბილი, უქარო ამინდიც.

როგორც ფრანს პრესის სააგენტო გადმოსცემს, შეჯიბრების შემდეგ ანკეტილმა უარი თქვა დოპინგის ანალიზზე.

## [illegible]

▲ ოსაკა. იაპონიაში სასპარეზოდ არიან გფრ-ის ხელბურთელ ვაჟთა და ქალთა ნაკრები გუნდები, რომლებიც მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადებიან.

▲ რომი. იტალიის მოცურავე ქალთა კვარტეტმა ესტაფეტაში 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით გაიმეორა ევროპის რეკორდი (4.11,8), რომელიც სსრ კავშირის სპორტსმენებს ეკუთვნით.

▲ ვარნა. ბულგარეთისა და უზბეკეთის მოცურავეთა ამხანაგურ მატჩში მასპინძლებმა თავიანთი ქვეყნის რამდენიმე რეკორდი გააუმჯობესეს. რეკორდების ავტორები არიან: ქალებში — ნ. ნიკოლოვა (200 მეტრზე თავისუფალი სტილით — 2.28,2), ა. დინაევა (100 მეტრზე გულაღმა — 1.15,3); 4×100 მეტრზე თავისუფალი სტილით (4.34,5) და 4×100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტებში (4.59,8); ვაჟებში: ვ. კინევი (400 მეტრზე თავისუფალი სტილით — 4.41,0), ი. რუსევი (100 მეტრზე გულაღმა — 1.05,1); 4×100 მეტრზე კომბინირებულ ესტაფეტაში (4.21,3) და 4×100 მ თავისუფალი სტილით ცურვაში (3.57,4). უზბეკეთის რეკორდი დაამყარა ი. პოპეერნოვმა 400 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — 5.20,3.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქ. ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 8 უე 04196